ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 65

30 აგვისტო 2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - ოთარ გრიგოლია.
კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, რამინა ბერაძე, დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე, ვახტანგ შაქარიშვილი.
სხდომას ესწრებოდა:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი-გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომას თავმდჯომარეობდა ოთარ გრიგოლია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო და კენჭი უყარა დღის წესრიგს.

დღის წესრიგი:

1. საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილი: ქ"თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ (#11-01192392763 27.08.2019წ)

დღის წესრიგი დამტკიცდა კომისიის წევრების მიერ.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.

მან განმარტა, რომ ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი მოთხოვნით, გამომდინარე იქედან, რომ ნიაბის ქუჩის პირველი შესახვევის გაგრძელების გზის მიმდინარე სამუშაოების შესრულება დამთავრდება მესამე კვარტალში და გამგეობას მესამე კვარტალში შესაბამისი რესურსი არა აქვს, ითხოვენ აღნიშნულ პროგრამაში 276500 ლარის, მეოთხე კვარტლიდან მესამე კვარტალში გადმოტანას.

სამგორის რაიონის გამგეობა აღნიშნავს, რომ ვინაიდან „კეთილმოწყობის ღონისძიებების" პროგრამაში ასიგნების გაზრდა მოხდა საკრებულოს დადგენილებით ივლისის თვეში, ვერ ესწრება შესასრულებელ სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადება. გარდა ამისა რაიონის ტერიტორიაზე ეკლესიების ფინანსური დახმარების გასაწევად, მესამე კვარტალში სჭირდებათ 20 000 ლარი. აქედან გამომდინარე გამგეობა ითხოვს საერთო ჯამში 276 500 ლარის გადატანას მესამედან მეოთხე კვარტალში.

საბურთალოს რაიონის გამგეობას, ეკონომიები აქვს „უფასო სასადილობის მომსახურეობის" პროგრამაში 17 000 ლარი, ხოლო გამგეობის საუბნო სამსახურის სარემონტო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით მესამე კვარტალში სჭირდებათ თანხები. გამგეობის მოთხოვნით „უფასო სასადილოებით მომსახურების" პროგრამაში ხდება, 17 000 ლარის გადატანა მესამედან მეოთხე კვარტალში, ხოლო გამგეობის აპარატს მესამე კვარტალში ემატება 17 000 ლარი.

ნაძალადევის რაიონის გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის„ პროგრამაში, შესრულებული სამუშაოების ანალიზის შედეგად საჭიროა მუხლობრივი ცვლილება. უნდა გაიზარდოს მიმდინარე ტრანსფერები მესამე კვარტალში 160 000 ლარით, ხოლო კაპიტალური ტრანსფერი უნდა შემცირდეს 105 000 ლარით.

მომხრე-7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ", სადაც ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის, სამგორის, ნაძალადევის და საბურთალოს რაიონის გამგეობები ითხოვენ მათზე მიკუთვნებული პროგრამების/ქვეპროგრამების ფარგლებში გათავლისწინებული ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად **მიეცეს თანხმობა ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას დანართის შესაბამისად.** (დანართი:1 ფურცელი)

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ოთარ გრიგოლია